

ელექტრონული სფავლების სისტემა დისციპლინაში „ავტომატიზებული გართვის მოდელები“

გიორგი გოგიაშვილი, ეკატერინე თურქა, ლილი პეტრიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შემოთავაზებულია სიმრავლეთა თეორიისა და მათემატიკური ლოგიკის დისციპლინის ლაბორატორიული მეცანიერობისათვის შექმნილი პროგრამული პაკეტი. მოცემული კურსი ალგორითმიზაციისა და დაპროგრამების თეორიის შესწავლის საბაზის ნაწილია, ამდენად ამ დისციპლინის სიღრმისეულ შესწავლას, რასაც უზრუნველყოფს ჩვენს მიერ დამუშავებული სისტემას, დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტებისთვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, ისეთ საკითხებში, როგორიცაა მასივებზე ოპერაციების ჩატარება, რელაციური ალგებრისა და მათემატიკური ლოგიკის ძირითად ოპერაციებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა და სხვა. სისტემა გამოკვლეულია და რეალიზებულია თანამედროვე პროგრამული ტექნოლოგიებით - .Net C#, UML2-Enterprise Architect. პროგრამული პროდუქტი ტექნიკურად შექმნილია გაფართოებადი არქიტექტურით, რაც სხვა პროგრამულ პაკეტებთან ინტეგრაციის, ახალი ამოცანების დამატებისა და იმპლემენტირების საშუალებას იძლევა.


საკანონი სიტყვები: სიმრავლეთა თეორია. რელაციური ალგებრა. მათემატიკური ლოგიკა. ოპერაციები.

1. შესავალი

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა განათლების პრობლემების გადაწყვეტის კონცეფციების, სოციალურ-ფიქოლოგიური და ფიქო-ფიზიოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე საზოგადოებისათვის შეეთავაზებინა ახალი პროგრამული და ინსტრუმენტული საშუალებანი, რაც „სწავლებას“ მეცნიერების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გახდიდა ხელმისაწვდომის. სასწავლო პროცესების ინფორმატიზაცია მიზნად ისახავს მომავალ სპეციალისტთა მაღალ დონეზე მომზადებისათვის სწავლებაში დაინტერგოს და აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. სწავლების ინფორმატიზაციისათვის აუკილებელია თანამედროვე კომპიუტერული ბაზა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უწყვეტად გამოყენება. აკადემიური სექტორის განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სტრატეგიული საკითხია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, დღეს დიდი ყურადღება ეთმობა ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებასა და სასწავლო სექტორში ინფორმატიზაციის პროცესის დანერგვას. მართვის ავტომატიზაციული სისტემების ფუნქციონალური ქვესისტემების ინფორმაციული, ალგორითმული და მათემატიკური უზრუნველყოფის დაპროექტებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლოგიკური და გრაფული მოდელები [1].

2. ძირითადი ნაწილი


რეალიზებული სისტემა მომხმარებელს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად სირთულის მიხედვით გადაჭრას დასმული ამოცანები, პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში მიღლოს სისტემის მიერ შეთავაზებული კომპიუტერული რეკომენდაციები და საბოლოოდ მიღლოს ოპტიმალური შედეგი. პროგრამული პაკეტი მოიცავს სიმრავლეთა თეორიის ძირითადი საკითხების – სიმრავლეთა ოპერაციების, რელაციური ალგებრისა და მათემატიკური ლოგიკის პრაქტიკული შესწავლის შესაძლებლობებს. ყოველი ძირითადი საკითხი დაყიფილია შემადგნელი ოპერაციების ცალკეულ დიალოგებით, რომელთა მუშაობის პრინციპი აგებულია სასწავლო პროგრამის შესაბამისად (ნახ.1).



ნახ.1. სისტემის მთავარი მენიუს ფრაგმენტი

სისტემაში წარმოდგენილი ამოცანები და მათი გადაწყვეტის ფუნქციები რთულდება ეტაპობრივად, რაც სტუდენტებს საგნის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას აძლევს. როგორც ცნობილია, სიმრავლე მოცემულია რამე კანონის თანახმად წარმოდგენილი ელემენტების სახით, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ამ ელემენტთა განსაზღვრა.

სისტემის მთავარი მენუს პირველ ჩანართში „სიმრავლეთა თეორია“ წარმოდგენილია სიმრავლისა და სიმრავლის შემადგენელ კლემენტთა განსაზღვრის ძირითადი ფუნქციები, რომლის ჯგუფშიც შედის სიმრავლის განსაზღვრის, სიმრავლეთა გაერთიანების, სხვაობის, თანაკვეთის, უარყოფის, სიმეტრიული სხვაობის, დეკარტული ნამრავლისა და ჯამის ოპერაციების ამოცანები. თითოეული დალოგური ფორმა დამატებით შეიცავს დავალების შესრულების აღწერის, დახმარებისა და ოპერაციის შესაბამისი მოდელის ინფორმაციას ეილერ-ვენის დიაგრამის სახით (ნახ.2).



ნახ.2.

Logika - Microsoft Visual Studio

```
Form_jami.cs [Design]* Start Page Form_logika_start.cs Form_logika_kavshirebi.cs
```

```
private void button_tavidan_Click(object sender, EventArgs e)
{
    textBox_pasuxiA.Text = "";
    textBox_SedegiA.Text = "";
    textBox_A.Text = "";
    textBox_B.Text = "";
    label_pasuxi.Text = "შასუბი -";
    this.label_pasuxi.ForeColor = System.Drawing.Color.Navy;

    groupBox_shedegi.Visible = false;
    if (next == 0 && pas == 0)
    {
        System.Random obieqtı = new System.Random();
        String result = "";
        for (int i = 0; i < 2; i++)
        {
            int rn = obieqtı.Next(1, 90);
            result += rn.ToString() + ",";
        }
        result = result.Remove(result.Length - 1, 1);
        String A = simravle(result);
        textBox_A.Text = A;


        System.Random obieqtib = new System.Random();
        String resultb = "";
    }
}
```

ნახ.3

პრაქტიკული თვალსაზრისით სისტემა ატარებს როგორც შემცენების ხასიათს, ისე ტესტირების ფორმებს: თითოეული საკითხის შესწავლა მოწმდება ეტაპბრივად გართულებული ციკლით; სისტემა ავტომატიზებულ რეჟიმში ამოწმებს შესრულებული დავალების სისწორეს. იმ შემთხვევაში თუ მიძინარე ეტაპის პასუხი სწორია, სისტემა გადადის შემდეგ გართულებულ დავალებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემას გამოაქვს სწორი პასუხი და ავტომატურად უგნერირებს ახალ დავალებას იმ ეტაპზე, რომელზეც ვერ მოხდა სწორი პასუხის მიღება.

ტექნიკური თვალსაზრისით ამოცანათა მრავლსახეობისთვის გამოყენებულია შემთხვევით ფორმირების RANDOM ფუნქცია (ნახ.3), რომელიც მომზარებელს ოპერაციების წარმოების საშუალებას აძლევს, სხვადასხვა ტიპის (სიმბოლოები, ციფრები, სიტყვები) ელემენტებისაგან შედგენილ სიმრავლეზე [1, 2].

მთავარი მენიუს ჩანართში „სიმრავლეთა თეორია“ ყოველი ოპერაციის შესრულებას მომხმარებელს უიოლებს როგორც სისტემის მიერ შეთავაზებული გრაფიკული გამოსახულება, ასევე მოკლე თეორიული შითითებები. ამავე დროს სტუდენტი ეწვევა როგორც სისტემასთან მუშაობას, ისე იმ მნიშვნელოვანი უნარებების გამომუშავებას, რომელიც აუცილებელი და საჭირო პირობაა მომდევნო დავალებაზე გადასასვლელად. მომდევნო დავალებაა „ოპერაციები სიმრავლეებზე“. ამ დავალების შესრულებისას სტუდენტი ასრულებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა: სიმრავლეთა ოჯახი, სიმრავლეთა დალაგება, სიმრავლეთა მიმართება. ამ ფუნქციათა გამოყენებით სტუდენტი ასრულებს ამოცანებს, სადაც წარმოდგენილია ორ თბიექტს შორის ბინარული დამოკიდებულება (ნახ.4). შემდეგი ჩანართი განკუთვნილია რელაციური აღებებრის ძირითადი პრინციპების შესასწავლად (პროექცია, გადაკვეთა, გამოკლება, შეზღუდვა, დეკარტული ნამრავლი, გაყოფა). პროგრამის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოდგენს ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა: ცხრილური სტრუქტურის ფუნქციები DATATABLE LINQ expression, და Query AsEnumerable() Tables (ნახ.5), რაც SQL-ის DML ენის გამოყენების საშუალებას იძლევა ობიექტ-ორიენტირებული API გარემოში [2,3].



ნახ.4

```

int scori_pasuxi_Table(int state)
{
    groupBox_pasuxi.Visible = true;
    DataSet ds = new DataSet();
    ds.Locale = CultureInfo.InvariantCulture;

    DataTable tableA = korect.return_dat
    DataTable tableB = korect.return_dat

    DataTable table_scori = new DataTable();
    table_scori = tableA.Copy();
    table_scori.Merge(tableB);
    table_scori.Rows.Clear();

    if (state == 0)
    {
        var query =
            tableA.AsEnumerable().Join(t
            order => order.Field<String>
            contact => contact.Field<str
            (order, contact) => new
            {
                TableOID = order.Field<s
                Table1ID = order.Field<s
                Table2ID = order.Field<s
                Table3ID = contact.Field<String>()
            }
    }
}


```

ნახ.5

სისტემაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა აგრეთვე მათემატიკური ლოგიკის ამოცანებს და მათთან დაკავშირებულ ლოგიკის ელემენტებს (ნახ.6) (ლოგიკური გამოყვანა, სეტენციური კავშირები, სულმართალი ფორმულები და ა.შ.).

3. დასკვნა

სისტემის არქიტექტურა იძლევა სხვა პროგრამულ პაკეტებთან ინტეგრაციისა და ახალი ამოცანების დამატების გაფართოების შესაძლებლობებს (დისციპლინის „ავტომატიზებული მართვის მოდელები“ ცვლილებისა და განვითარების შესაბამისად). სისტემის მოდელი აღწერილია და გამოკვლეულია UML2 (Enterprise Architect პროდუქტზე) ტექნოლოგიით, ხოლო პროგრამული პაკეტი რეალიზებულია .NET C# ენაზე. სისტემის გაფართოების თვალსაზრისით ახალ ვერსიებში იმპლემენტირებული იქება და ყურადღება მიექცევა შემდეგი საკითხების დახვეწას: სამუშაო ადგილებად (სტუდენტი-ლექტორი) ფუნქციონირების შესაძლებლობა; დავალებათა შერჩევა სირთულის ვარირების მიხედვით; სტუდენტის ავტომატიზებული შეფასების ფუნქციონალის ჩართვა.



ნაზ.6

ლიტერატურა:

1. გოგიჩაიშვილი გ., ჩახანძე გ., ნანობაშვილი ქ. ავტომატიზებული მართვის მოდელები ლოგიკური და გრაფული მოდელები. სტუ, თბილისი. 2005
2. სურგულაძე გ., ბულა ი., თურქია ე. Web-აპლიკაციების აგება ASP.NET & C# პაკეტების საუკეთესო სისტემები. სტუ, თბილისი. 2009
3. გოგიჩაიშვილი გ., თურქია ე. პროგრამული უზრუნველყოფის რეალიზაცია Rational Rose ინსტრუმენტის ბაზაზე. სტუ, თბილისი. 2009.

E-LEARNING SYSTEM FOR DISCIPLINE “MODELS OF AUTOMATED MANAGEMENT”

Gogichaishvili George, Turkia Ekaterine, Petriashvili Lily

Georgian Technical University

Summary

In this paper the software system for laboratory studies in the discipline of set theory and model graphs is suggested. Since this course is a basic part of programming theory and algorithmic learning course, the depth of study this discipline, that supports for us developed system, is of high importance in the development of skills in students with issues such as operations an arrays, creation general representation of the basic operations of relational algebra and mathematical logic, etc. The system was investigated and implemented on the basis of modern technology: Net C#, UML2-Enterprise Architect. Technically, software product has an extensible architecture that allows addition and implementation the new tasks and integration of other software packages.

E-LEARNING

UML2-Enterprise Architect., .Net, #,